20/12/2023

უწმინდესი პატრიარქის კირილეს მისალმება გამოფენის – „ბელგრადის წმინდა საბას ტაძრის მშვენიერება“ – გახსნის ცერემონიის მონაწილეებს

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ მისალმება გაუგზავნა გამოფენის – „ბელგრადის წმინდა საბას ტაძრის მშვენიერება“ – გახსნის ცერემონიის მონაწილეებს, რომლის ორგანიზებაც მოსკოვში რუსეთის სამხატვრო აკადემიამ მოაწყო.

„ბელგრადის წმინდა საბას ტაძრის მშვენიერების“ გამოფენის გახსნის ცერემონიის ორგანიზატორებს,

მონაწილეებსა და სტუმრებს

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ! პატივცემულო ბატონო ელჩო!

პატივცემულნო ზურაბ კონსტანტინეს ძევ და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძევ! ყოვლადპატიოსანნო მამებო, ძვირფასო ძმებო და დებო!

გულითადად მივესალმები „ბელგრადის წმინდა საბას ტაძრის მშვენიერების“ გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონიის ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და სტუმრებს.

ყველას გილოცავთ რუსეთ-სერბეთის კულტურული თანამშრომლობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის წარმატებით დასრულებას – წმინდა

საბასადმი მიძღვნილი დიდებული ტაძრის მოზაიკური მორთულობის შექმნას.

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დამაარსებელსა და პირველ წინამძღვარს პატივს მაიგებენ არა მხოლოდ სერბეთის ეკლესიის შვილები, არამედ ასევე მილიონობით მორწმუნე ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ ამ ტაძრის შიდა კეთილმოწყობის პროექტი თავიდანვე რუსეთის ეკლესიის ეგიდით ხორციელდებოდა.

შესანიშნავი მოზაიკა, რომელთა რეპროდუქციებს დღეს თქვენ გამოფენის გახსნაზე ნახავთ, რუსი და ბელორუსი მოზაიკის ოსტატების შრომითაა შექმნილი. ეს არის ჩვენი შესაწირი წმინდა საბასადმი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საჩუქარი მის საყვარელ დას – სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, მინდა მადლობა გადავუხადო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ ვლადიმირეს ძე პუტინს და სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ვუჩიჩს, ამ მნიშვნელოვანი წამოწყების მხარდაჭერისთვის, ხოლო ზურაბ კონსტანტინეს ძე წერეთელს, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მუხინს და ყველას, ვისაც ჰქონდა წარმოდგენილი მოზაიკის შექმნაზე მუშაობის შესაძლებლობა –მასშტაბითა და მხატვრული ღირებულებით უპრეცედენტო შრომისთვის, რითაც მსოფლიო კულტურის საგანძურში გამოჩენილი წვლილი შეიტანეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს საჩუქარი იქნება ჩვენი ეკლესიებისა და ხალხების სიყვარულის თვალსაჩინო მოწმობა არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც. წმინდა საბას დროიდან მოყოლებული სწორედ მართლმადიდებლობამ შეადგინა და, ღვთის ნებით ყოველთვის შეადგენს ჩვენს სერბ ძმებთან კეთილი ურთიერთობის საფუძველს.

ამ შესანიშნავი ნამუშევრების შემქმნელ ოსტატებს ვუსურვებ შთაგონებას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს, თქვენ ყველას კი – მტკიცე ჯანმრთელობას და ღვთის შემწეობას.

უფლის კურთხევა იყოს თქვენ თანა.

+ კირილე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

mospat.ru/ge